საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა "20" 06 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 913/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 7 ივნისის N 72560/03 განაცხადით შპს „ჯეოპასტის" (მის: საბურთალოს ქ. №43 ბ. 13, ქ. თბილისი, საქართველო) დირექტორმა გიზო მალანიამ მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „Geo Past" (რეგ. N 23782) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „Geo Past" (რეგ. N 23782) საქართველოში რეგისტრირებულია 20.06.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 20.06.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 30-ე და 35-ე კლასის საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „Geo Past" (რეგ. N 23782) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით 30-ე კლასის რეგისტრირებული საქონლის ჩამონათვალის მიმართ (მოთხოვნის რეგისტრაციის N 276, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 20.06.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; შპს „ჯეოპასტის“ დირექტორს გიზო მალანიას (მის: აბასთუმნის ქ. №8, ქ. თბილისი, საქართველო).

ბსგმ ფინანსთან სწორია
"20" 06 2013 წ.